

საქართველოს იუსტიციის მინისტრის

ბრძანება №158

2011 წლის 29 დეკემბერი

ქ. თბილისი

მართვის ავტომატური საშუალებების გამოყენებით ნორმატიული აქტის (ნორმატიული აქტის პროექტის) შედგენის, მიღების (გამოცემის), გაგზავნის, აღრიცხვის, სისტემატიზაციისა და გამოქვეყნების წესის დამტკიცების თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის მე-7 პუნქტის, „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 7 ნოემბრის №541 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „პ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს მართვის ავტომატური საშუალებების გამოყენებით ნორმატიული აქტის (ნორმატიული აქტის პროექტის) შედგენის, მიღების (გამოცემის), გაგზავნის, აღრიცხვის, სისტემატიზაციისა და გამოქვეყნების წესი.

2. 2012 წლის 1 იანვრიდან 2012 წლის 1 ოქტომბრამდე ნორმატიული აქტის (ნორმატიული აქტის პროექტის) მართვის ავტომატური საშუალებების გამოყენებით შედგენის, მიღების (გამოცემის), გაგზავნის ან გადაცემის შემთხვევაში მოქმედებს ამ ბრძანებით დამტკიცებული წესი, ხოლო მართვის ავტომატური საშუალებების გამოყენების გარეშე შედგენის, მიღების (გამოცემის), გაგზავნის ან გადაცემის შემთხვევაში – „ნორმატიული აქტების აღრიცხვის, სისტემატიზაციისა და გამოქვეყნების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 28 დეკემბრის №236 ბრძანებით დამტკიცებული წესი.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2012 წლის 29 ივნისის ბრძანება №111 - ვებგვერდი, 29.06.2012 წ.

2¹. საქართველოს პრეზიდენტის ნორმატიული აქტი, რომელიც საჭიროებს საქართველოს პრემიერ-მინისტრის კონტრასიგნაციას, 2014 წლის 1 მარტამდე შეიძლება მომზადდეს, გამოიცეს და „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ გადაეგზავნოს ბეჭდვითი ფორმით, ელექტრონულ ვერსიასთან ერთად, ერთ ეგზემპლარად აკინძული და უფლებამოსილი პირების მიერ ბეჭდითა და ხელმოწერით დამოწმებული. ელექტრონული ვერსიის შინაარსი უნდა შეესაბამებოდეს ბეჭდვითი ფორმით წარმოდგენილი ნორმატიული აქტის შინაარსს.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2013 წლის 23 დეკემბრის ბრძანება №103 - ვებგვერდი, 23.12.2013 წ.

3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ნორმატიული აქტების აღრიცხვის, სისტემატიზაციისა და გამოქვეყნების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 28 დეკემბრის №236 ბრძანება.

4. ეს ბრძანება, გარდა მე-3 პუნქტისა, ამოქმედდეს 2012 წლის 1 იანვრიდან.

5. ამ ბრძანების მე-3 პუნქტი ამოქმედდეს 2012 წლის 1 ოქტომბრიდან.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2012 წლის 29 ივნისის ბრძანება №111 - ვებგვერდი, 29.06.2012 წ.

ზ. ადგიშვილი

შეტანილი ცვლილებები:

1. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2012 წლის 6 მარტის ბრძანება №33 - ვებგვერდი, 06.03.2012 წ.
2. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2012 წლის 29 ივნისის ბრძანება №111 - ვებგვერდი, 29.06.2012 წ.
3. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2012 წლის 30 ივლისის ბრძანება №133 - ვებგვერდი, 30.07.2012 წ.
4. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2012 წლის 27 დეკემბრის ბრძანება №192 - ვებგვერდი, 27.12.2012 წ.
5. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2013 წლის 7 მაისის ბრძანება №28 - ვებგვერდი, 07.05.2013 წ.
6. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2013 წლის 23 დეკემბრის ბრძანება №103 - ვებგვერდი, 23.12.2013 წ.
7. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2014 წლის 16 იანვრის ბრძანება №1 - ვებგვერდი, 16.01.2014 წ.

8. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2014 წლის 10 ივლისის ბრძანება №30 - ვებგვერდი, 10.07.2014წ.
9. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2014 წლის 15 აგვისტოს ბრძანება №41 - ვებგვერდი, 15.08.2014 წ.
10. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2014 წლის 1 სექტემბრის ბრძანება №44 - ვებგვერდი, 02.09.2014 წ.

მართვის ავტომატური საშუალებების გამოყენებით ნორმატიული აქტის (ნორმატიული აქტის პროექტის) შედგენის, მიღების (გამოცემის), გადაგზავნის, აღრიცხვის, სისტემატიზაციისა და გამოქვეყნების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. „მართვის ავტომატური საშუალებების გამოყენებით ნორმატიული აქტის (ნორმატიული აქტის პროექტის) შედგენის, მიღების (გამოცემის), გადაგზავნის, აღრიცხვის, სისტემატიზაციისა და გამოქვეყნების წესი“ (შემდგომში – წესი) შემუშავებულია „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის მე-7 პუნქტის საფუძველზე.
2. წესის მიზანია მართვის ავტომატური საშუალებების გამოყენებით ნორმატიული აქტის (ნორმატიული აქტის პროექტის) შედგენასთან, მიღებასთან (გამოცემასთან), გადაგზავნასთან ან გადაცემასთან, აგრეთვე აღრიცხვასთან, სისტემატიზაციასთან და გამოქვეყნებასთან დაკავშირებული საქმიანობის რეგულირება.
3. წესის მოქმედება ვრცელდება ნორმატიული აქტის მიღების (გამოცემის) უფლებამოსილების მქონე ყველა ორგანოს (თანამდებობის პირის) მიმართ.
4. ნორმატიული აქტის მიღების (გამოცემის) უფლების მქონე ორგანო (თანამდებობის პირი) ნორმატიული აქტის (ნორმატიული აქტის პროექტის) შედგენას, მიღებას (გამოცემას), სამართლებრივი ექსპერტიზისათვის გადაგზავნას ან გადაცემას უზრუნველყოფს „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ (შემდგომში – მაცნე) პორტალის მეშვეობით.
5. ამ წესით განსაზღვრულ პროცედურებსა და ნორმატიული აქტების საქმისწარმოების ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) არსებულ პროცედურებს შორის შეუსაბამობის წარმოშობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება სისტემაში არსებულ პროცედურებს. ასეთი შეუსაბამობის წარმოქმნიდან არა უგვიანეს შვიდი დღისა, საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ (შემდგომში – სამინისტრო) უნდა უზრუნველყოს წესში შესაბამისი ცვლილებების შესატანად კანონმდებლობით დადგენილი პროცედურების დაწყება.
6. მართვის ავტომატური საშუალებების გამოყენებით ნორმატიული აქტის (პროექტის) შედგენისათვის, მიღებისათვის (გამოცემისათვის), გადაგზავნისათვის ან გადაცემისათვის, აგრეთვე აღრიცხვის, სისტემატიზაციის და გამოქვეყნებისათვის სავალდებულოა სისტემის გამოყენება.

მუხლი 2. ნორმატიული აქტების სახელმწიფო რეესტრი

1. ნორმატიული აქტების სახელმწიფო აღრიცხვისა და სისტემატიზაციის მიზნით, მაცნე აწარმოებს ნორმატიული აქტების სახელმწიფო რეესტრს (შემდგომში – სახელმწიფო რეესტრს).
2. სახელმწიფო რეესტრი (გარდა „საიდუმლო“ ნაწილისა) წარმოებს ელექტრონული ფორმით მაცნეს ვებგვერდზე.
3. სახელმწიფო რეესტრში შეიტანება ყველა ნორმატიული აქტი. „საიდუმლო“ გრიფის მქონე ნორმატიული აქტი ან ნორმატიული აქტის ასეთივე გრიფის მქონე ნაწილი შეიტანება სახელმწიფო რეესტრის „საიდუმლო“ ნაწილში. სახელმწიფო რეესტრის „საიდუმლო“ ნაწილში შეტანილი ინფორმაციის გაცნობის პირობები და წესი განისაზღვრება „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონით.

მუხლი 3. სისტემაში რეგისტრაცია

1. სისტემაში რეგისტრაცია სავალდებულოა ნორმატიული აქტის მიღების (გამოცემის) უფლებამოსილების მქონე ყველა ორგანოსათვის (თანამდებობის პირისთვის). ნორმატიული აქტის

მიღების (გამოცემის) უფლებამოსილების მქონე ყველა ორგანომ (თანამდებობის პირმა) დადგენილი წესით უნდა გაიაროს რეგისტრაცია სისტემაში.

2. სისტემაში რეგისტრაციის დროს ნორმატიული აქტის მიღების (გამოცემის) უფლებამოსილების მქონე ორგანოს (თანამდებობის პირის) წარმომადგენელმა ამ წესის შესაბამისად უნდა შეავსოს მომხმარებლის რეგისტრაციის განაცხადი (დანართი №4).

3. რეგისტრირებული მომხმარებელი პასუხისმგებელია მომხმარებლის რეგისტრაციის განაცხადში მითითებული ინფორმაციის სისწორეზე ან/და უტყუარობაზე. მაცნე პასუხს არ აგებს რეგისტრირებული მომხმარებლის მიერ სისტემაში შეყვანილი ან განთავსებული ინფორმაციისა თუ დოკუმენტის სისწორეზე ან/და უტყუარობაზე, ან აღნიშნული ინფორმაციის ან დოკუმენტის სისტემაში შეყვანის ან განთავსების შედეგად წარმოშობილ ზიანზე.

4. რეგისტრირებული მომხმარებელი ვალდებულია მის მიერ მომხმარებლის რეგისტრაციის განაცხადში მითითებული ინფორმაციის ცვლილების შემთხვევაში დაუყოვნებლივ ასახოს აღნიშნული ცვლილება სისტემაში.

5. სისტემაში შესვლით რეგისტრირებული მომხმარებელი ეთანხმება სისტემის გამოყენების პირობებს.

მუხლი 4. ნორმატიული აქტის პროექტის შედგენა

1. ნორმატიული აქტის პროექტის შედგენა ხორციელდება „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის შესაბამისად, მართვის ავტომატური საშუალების – სისტემის მეშვეობით.

2. ნორმატიული აქტის პროექტის შედგენისას სისტემაში შეტანილ უნდა იქნეს შემდეგი რეკვიზიტები:

ა) ნორმატიული აქტის სათაური;

ბ) ნორმატიული აქტის სახე;

გ) ნორმატიული აქტის მიმღები (გამომცემი) ორგანო (თანამდებობის პირი);

დ) ნორმატიული აქტის ძალაში შესვლის თარიღი და აქტის მოქმედების ვადა (თუ იგი განსაზღვრული ვადით არის მიღებული (გამოცემული)).

3. ნორმატიული აქტის პროექტი უნდა დამუშავდეს სისტემაში არსებული რედაქტორის მეშვეობით, მაცნეს ვებპორტალზე განთავსებული ინსტრუქციის შესაბამისად, შრიფტით „Sylfaen“, არანაკლებ „11“ ზომისა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ნორმატიული აქტი შედგება სქემების, ცხრილებისა და ნუსხებისაგან, რომლებშიც, მათი ფორმატიდან გამომდინარე, შეუძლებელია „11“ ან მეტი ზომის შრიფტის გამოყენება.

4. თუ გადასახადის, ბაჟის, მოსაკრებლის, ტარიფის, საფასურის განაკვეთების ან/და ოდენობების ჩამოყალიბება შესაძლებელია ნორმატიული აქტის ტექსტის შესაბამისი ნორმისაგან განცალკევებით – სქემების, ცხრილების, ნუსხების ან სხვა ფორმით, მაშინ ის/ისინი ნორმატიულ აქტს უნდა დაერთოს დანართის სახით, შრიფტით არანაკლებ „9“ ზომისა. ნორმატიულ აქტს მხოლოდ დანართის სახით დაერთვება სქემები, ცხრილები, ნუსხები, უჯრები, სურათები და ა. შ.. ნორმატიული აქტის დანართი ნორმატიულ აქტთან ერთად ქვეყნდება და მისი ნაწილია.

5. ნორმატიული აქტის პროექტის შედგენა სისტემაში უნდა განხორციელდეს მისი სტრუქტურის შესაბამისად, კარებად (კოდექსში – წიგნებად), თავებად და მუხლებად (თუ ნორმატიული აქტი შედგება მხოლოდ პუნქტებისგან – პუნქტებად).

6. ტექსტის შემცველი დანართი ასევე უნდა დამუშავდეს სისტემაში არსებული რედაქტორის მეშვეობით, ამ მუხლის მე-5 პუნქტში მითითებული წესის შესაბამისად.

7. სქემების, ცხრილების, ნუსხების და სურათების შემცველი დანართი სისტემაში უნდა აიტვირთოს ცალკე დოკუმენტად, ნებისმიერ ფორმატში.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2013 წლის 7 მაისის ბრძანება №28 - ვებგვერდი, 07.05.2013 წ.

მუხლი 5. ნორმატიული აქტის (პროექტის) სამართლებრივი ექსპერტიზისათვის გადაგზავნა

ნორმატიული აქტის (პროექტის) საქართველოს იუსტიციის სამინისტროში სამართლებრივი ექსპერტიზისათვის გადაგზავნა, სამართლებრივი დასკვნის შედგენა და გადაგზავნა ხორციელდება „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლით დადგენილი წესით, სისტემის საშუალებით.

მუხლი 6. ნორმატიული აქტების გამოქვეყნება

1. ნორმატიული აქტები ელექტრონული ფორმით ქვეყნდება მაცნეს ვებგვერდზე. ნორმატიული აქტის ოფიციალურ (იურიდიული ძალის მქონე) გამოქვეყნებად ითვლება მისი სრული ტექსტის მაცნეს ვებგვერდზე პირველად გამოქვეყნება.

2. ნორმატიული აქტის მიღების (გამოცემის) უფლების მქონე ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ მიღებული (გამოცემული) ნორმატიული აქტის გამოსაქვეყნებლად წარდგენა სავალდებულოა.

3. კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის ცალკეულ დებულებათა გამოუქვეყნებლობა დასაშვებია მხოლოდ „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში.

4. რამდენიმე უწყების მიერ ერთობლივად მომზადებული ნორმატიული აქტის გამოსაქვეყნებლად წარდგენა ევალება იმ უწყებას, რომელიც სიით პირველია მითითებული ნორმატიული აქტის შემუშავებისათვის მიცემულ დავალებაში.

5. ნორმატიული აქტი (გარდა ამ მუხლის მე-7-მე-11 პუნქტებში მითითებული ნორმატიული აქტებისა) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამართლებრივი დასკვნის გაცემიდან 10 დღის ვადაში, ხოლო ის კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები, რომელიც საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანების შესაბამისად, არ საჭიროებენ იუსტიციის სამინისტროს სამართლებრივ დასკვნას - მისი მიმღები (გამომცემი) ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ მიღებიდან (ხელმოწერიდან) არა უგვიანეს მე-5 დღისა, გამოსაქვეყნებლად უნდა გადაეცეს/გადაეგზავნოს მაცნეს.

6. ნორმატიულ აქტს (გარდა ამ მუხლის მე-8-მე-11 პუნქტებში მითითებული ნორმატიული აქტებისა) მაცნე აქვეყნებს ნორმატიული აქტის მისთვის გადაცემიდან/მიღებიდან 5 დღის ვადაში.

7. ადგილობრივი თვითმმართველობის ნორმატიული აქტი მაცნეს გამოსაქვეყნებლად უნდა გაეგზავნოს უფლებამოსილი ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ მისი მიღებიდან (ხელმოწერიდან) არა უგვიანეს მეორე დღისა.

8. საქართველოს პარლამენტის, აგრეთვე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული კანონები ქვეყნდება შესაბამისად საქართველოს კონსტიტუციით, კანონითა და ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციებით დადგენილი წესით.

9. საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პარლამენტის, საქართველოს მთავრობის, აგრეთვე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტები (გარდა ამ მუხლის მე-8 პუნქტში მითითებული ნორმატიული აქტებისა) მაცნეს უნდა გადაეცეს/გადაეგზავნოს და გამოქვეყნდეს მათი მიღებიდან (ხელმოწერიდან) 10 დღის ვადაში.

10. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ნორმატიული აქტი მაცნეს უნდა გადაეცეს/გადაეგზავნოს და გამოქვეყნდეს მისი მიღებიდან არა უგვიანეს მე-2 დღისა.

11. საქართველოს ეროვნული ბანკის დაუყოვნებლივ ასამოქმედებელი ნორმატიული აქტი მაცნეს უნდა გადაეცეს/გადაეგზავნოს და გამოქვეყნდეს არა უგვიანეს შემდეგი სამუშაო დღისა.

12. ნორმატიული აქტი მაცნეს გამოსაქვეყნებლად გადაეგზავნება სისტემის მეშვეობით, გარდა „საიდუმლო“ გრიფის მქონე ნორმატიული აქტისა.

13. გამოქვეყნებისათვის გადმოგზავნილ ნორმატიულ აქტს (გარდა ამ მუხლის მე-7-მე-11 პუნქტებში მითითებული, აგრეთვე საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით განსაზღვრული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებისა) თან უნდა ახლდეს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ გაცემული დადებითი დასკვნა.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2014 წლის 10 ივლისის ბრძანება №30 - ვებგვერდი, 10.07.2014წ.

მუხლი 7. ნორმატიული აქტის რეგისტრაცია სახელმწიფო რეესტრში

1. მაცნეს ნორმატიული აქტი შეაქვს სახელმწიფო რეესტრში და ანიჭებს სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდს მისი მაცნეს ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე.

2. ერთობლივ ნორმატიულ აქტს ენიჭება იმ უწყების (მიმღების) სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი, რომელიც სიით პირველია მითითებული ნორმატიული აქტის შემუშავებისათვის მიცემულ დავალებაში.

3. ნორმატიული აქტები, მათი სახისა და მიღების (გამოცემის) უფლებამოსილების მქონე ორგანოს (თანამდებობის პირის) მიხედვით რეგისტრირდება ნორმატიული აქტების სახელმწიფო რეესტრის შესაბამის ნაწილში.

4. ნორმატიულ აქტში შეტანილი ცვლილება ამ მუხლით დადგენილი წესით ექვემდებარება სახელმწიფო რეესტრში რეგისტრაციას და ენიჭება დამოუკიდებელი სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი.

5. სახელმწიფო რეესტრში შეიტანება ნორმატიული აქტის შესახებ შემდეგი მონაცემები:

ა) ნორმატიული აქტის სახე;

ბ) ნორმატიული აქტის მიმღები (გამომცემი) ორგანოს (თანამდებობის პირის) სახელწოდება;

გ) ნორმატიული აქტის სათაური;

დ) ნორმატიული აქტის მიღების (გამოცემის) თარიღი და მოქმედების ვადა (თუ იგი განსაზღვრული ვადით არის მიღებული (გამოცემული));

ე) ნორმატიული აქტის მიმღები (გამომცემი) ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ მინიჭებული სარეგისტრაციო ნომერი;

ვ) იმ ოფიციალური გამოქვეყნების ორგანოს სახელწოდება, რომელშიც ნორმატიული აქტია გამოქვეყნებული და ნორმატიული აქტის გამოქვეყნების თარიღი;

ზ) ნორმატიული აქტის სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი;

თ) ნორმატიულ აქტში ცვლილების შეტანის თარიღი.

6. „საიდუმლო“ გრიფის მქონე ნორმატიული აქტი მაცნეს სარეგისტრაციოდ გადაეცემა ბეჭდვითი ფორმით, 2 ეგზემპლარად აკინძული და უფლებამოსილი პირის მიერ ბეჭდითა და ხელმოწერით დამოწმებული.

7. „საიდუმლო“ გრიფის მქონე ნორმატიული აქტი ან ნორმატიული აქტის ასეთივე გრიფის მქონე ნაწილი შეიტანება სახელმწიფო რეესტრის საიდუმლო ნაწილში (დანართი ¹1).

8. „საიდუმლო“ გრიფის მქონე ნორმატიულ აქტს ან ნორმატიული აქტის ასეთივე გრიფის მქონე ნაწილს დაესმება შტამპი სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდის აღნიშვნით.

9. სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი შედგება 20-ციფრიანი რიცხვისაგან: „000.000.000.00.000.000.000.“, რომელთაგან პირველი ცხრა წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობის დარგობრივი კლასიფიკატორის ცალკეული დარგის კოდის საერთო მაჩვენებელს, შემდეგი ორი აღნიშნავს ნორმატიული აქტის სახეს (დანართი №2-ის შესაბამისად), მომდევნო სამი – ნორმატიული აქტის მიღების (გამოცემის) უფლებამოსილების მქონე ორგანოს ან თანამდებობის პირს (ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების (თანამდებობის პირების) ნორმატიული აქტის შემთხვევაში – შესაბამის თვითმმართველ ერთეულს) (დანართი №3-ის შესაბამისად), ხოლო ბოლო ექვსი ციფრი – ნორმატიული აქტის რეგისტრაციის რიგით ნომერს სახელმწიფო რეესტრის შესაბამისი ნაწილის მიხედვით.

მუხლი 8. ნორმატიული აქტების სისტემატიზაცია

1. მაცნეს ვებგვერდზე ელექტრონული ფორმით განთავსებულ სისტემატიზებულ ნორმატიულ აქტებს აქვს ოფიციალური იურიდიული ძალა.

2. ნორმატიული აქტის სისტემატიზაცია გულისხმობს ნორმატიული აქტით გათვალისწინებული ცვლილების ასახვას იმ ნორმატიულ აქტში, რომელშიც შედის ცვლილება და მისი ტექსტის საბოლოო მდგომარეობაში მოყვანას.

3. მაცნე ნორმატიული აქტის სისტემატიზაციას უზრუნველყოფს ნორმატიული აქტის ვებგვერდზე გამოქვეყნებიდან 3 დღის ვადაში.

4. ნორმატიული აქტის სისტემატიზაციის შედეგად, ნორმატიულ აქტში შესაბამისი ცვლილების რეკვიზიტები (ნორმატიული აქტის მიღების (გამოცემის) თარიღი, მიმღები (გამომცემი) ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ მინიჭებული სარეგისტრაციო ნომერი, იმ ოფიციალური გამოქვეყნების ორგანოს სახელწოდება, რომელშიც ნორმატიული აქტია გამოქვეყნებული და ნორმატიული აქტის გამოქვეყნების თარიღი) ნორმატიულ აქტში მიეთითება პეტიტის სახით.

5. მაცნე უფლებამოსილია განახორციელოს ნორმატიულ აქტში რედაქციული სახის შეცდომის გასწორება, რაც გულისხმობს ტექსტში ორთოგრაფიული და პუნქტუაციური შეცდომ(ებ)ის გასწორებას, რითაც არ შეიცვლება ნორმატიული აქტის შინაარსი. გამონაკლის შემთხვევებში, მაცნე ასევე უფლებამოსილია განახორციელოს ნორმატიულ აქტში სხვა სახის შეცდომის გასწორებაც, თუ ნორმატიული აქტის მიმღები ორგანო ან თანამდებობის პირი, შესაბამისი მიმართვისა და მტკიცებულების (კოლეგიური ორგანოს მიერ მიღებული ნორმატიული აქტის საბოლოო და სათანადოდ დამოწმებული ტექსტის, ხელმოწერილი სხდომის ოქმისა და სხვა მტკიცებულებების) საფუძველზე სათანადოდ და ყოველ ეჭვს მიღმა დაასაბუთებს, რომ ნორმატიული აქტის ტექსტი, როგორც ის მაცნეს გაეგზავნა გამოსაქვეყნებლად, ტექნიკური ხასიათის შეცდომის გამო განსხვავდება ნორმატიული აქტის მიმღები ორგანოს ან თანამდებობის პირის მიერ მიღებული ტექსტისაგან.

5¹. მაცნე უფლებამოსილია დასაბუთებული უარი უთხრას ნორმატიული აქტის მიმღებ ორგანოს (თანამდებობის პირს) ნორმატიული აქტის ტექსტის შესწორებაზე, თუ შესაბამისი ორგანო (თანამდებობის პირი) ამ მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, ვერ დაასაბუთებს, რომ ნორმატიული აქტის ტექსტი, როგორც ის მაცნეს გაეგზავნა გამოსაქვეყნებლად, ტექნიკური ხასიათის შეცდომის გამო განსხვავდება ნორმატიული აქტის მიმღები ორგანოს ან თანამდებობის პირის მიერ მიღებული ტექსტისაგან.

6. მაცნე უფლებამოსილია არ განახორციელოს ნორმატიული აქტის სისტემატიზაცია, თუ შეუძლებელია ნორმატიული აქტით გათვალისწინებული ცვლილების ასახვა იმ ნორმატიულ აქტში, რომელშიც შედის ცვლილება და აღნიშნულის თაობაზე პეტიტის სახით მიეთითება სისტემატიზებულ ნორმატიულ აქტში.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2014 წლის 15 აგვისტოს ბრძანება №41 - ვებგვერდი, 15.08.2014 წ.

დანართი №1

ნორმატიული აქტების სახელმწიფო რეესტრის საიდუმლო ნაწილის ფორმა

№	ნორმატიული აქტის სახე	ნორმატიული აქტის მიმღები (გამომცემი) ორგანოს (თანამდებობის პირის) სახელწოდება	ნორმატიული აქტის ან მისი საიდუმლო ნაწილის სათაური	მიღების (გამოცემის) თარიღი და ადგილი	ნორმატიული აქტის მიმღები (გამომცემი) ორგანოს მიერ მინიჭებული სარეგისტრაციო ნომერი	ნორმატიული აქტის ძალაში შესვლის თარიღი და მოქმედების ვადა (თუ იგი განსაზღვრული ვადით არის მიღებული (გამოცემული))	ნორმატიული აქტის სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი	ნორმატიული აქტში ცვლილების შეტანის თარიღი
---	-----------------------	-------------------------------------------------------------------------------	---------------------------------------------------	--------------------------------------	-----------------------------------------------------------------------------------	------------------------------------------------------------------------------------------------------------------	------------------------------------------------	-------------------------------------------

დანართი №2

ნორმატიული აქტის სახის ციფრობრივი კოდები

1. საქართველოს ნორმატიულ აქტებს მიენიჭება შემდეგი ციფრობრივი კოდები:

№	ნორმატიული აქტის სახე	კოდი
---	-----------------------	------

1	საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს კონსტიტუციური კანონი	01
2	საქართველოს კონსტიტუციური შეთანხმება	02
3	საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება და შეთანხმება	03
4	საქართველოს ორგანული კანონი	04
5	საქართველოს კანონი	05
6	საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი	06
7	საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტი	07
8	საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება	08
9	საქართველოს პარლამენტის დადგენილება	09
10	საქართველოს მთავრობის დადგენილება	10
11	საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს დადგენილება	11
12	ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების კომისიის დადგენილება	13
13	აუდიტორული საქმიანობის საბჭოს კოლეგიის დადგენილება	14
14	საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის დადგენილება	15
15	საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის დადგენილება	16
16	საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის დადგენილება	17
17	საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება	18
18	საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის ბრძანება	19
19	სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალური აუდიტორის ბრძანება	58
20	სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება	57
21	საქართველოს მინისტრის ბრძანება	22
22	გარემოს ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება	61
23	სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსის ბრძანება	42
24	საქართველოს დაზვერვის სამსახურის უფროსის ბრძანება	43
25	აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს – აკრედიტაციის ცენტრის გენერალური დირექტორის ბრძანება	44
26	საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის ბრძანება	45
27	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების – საქართველოს სასაზღვრო პოლიციის უფროსის ბრძანება	46
28	საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის ბრძანება	48
29	სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის ბრძანება	54
30	საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის ბრძანება	55
31	მონაცემთა გაცვლის სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება	59
32	საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის ბრძანება	60
33	ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტოს უფროსის ბრძანება	25
34	სხვა ადმინისტრაციული ორგანოს ნორმატიული აქტი	40
35	კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება	41
36	პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის ბრძანება	62

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2012 წლის 6 მარტის ბრძანება №33 - ვებგვერდი, 06.03.2012 წ.
საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2012 წლის 29 ივნისის ბრძანება №111 - ვებგვერდი, 29.06.2012 წ.
საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2012 წლის 30 ივლისის ბრძანება №133 - ვებგვერდი, 30.07.2012 წ.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2012 წლის 27 დეკემბრის ბრძანება №192 - ვებგვერდი, 27.12.2012 წ.
 საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2013 წლის 7 მაისის ბრძანება №28 - ვებგვერდი, 07.05.2013 წ.
 საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2014 წლის 10 ივლისის ბრძანება №30 - ვებგვერდი, 10.07.2014წ.
 საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2014 წლის 1 სექტემბრის ბრძანება №44 - ვებგვერდი, 02.09.2014 წ.

2. ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიულ აქტებს მიენიჭება შემდეგი ციფრობრივი კოდები:

	ნორმატიული აქტის სახე	კოდი
1	ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუცია	29
2	ავტონომიური რესპუბლიკის კანონი	30
3	ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს დადგენილება	31
4	ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დადგენილება	32
5	ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის ბრძანება	33
6	ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის დადგენილება	34
7	ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს რეგლამენტი	51

3. ადგილობრივი თვითმმართველობის ნორმატიულ აქტს - მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებას მიენიჭება კოდი - 35.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2014 წლის 10 ივლისის ბრძანება №30 - ვებგვერდი, 10.07.2014წ.

დანართი №3

ნორმატიული აქტის მიღების (გამოცემის) უფლებამოსილი ორგანოს (თანამდებობის პირის) ციფრობრივი კოდები

1. საქართველოს ნორმატიული აქტის მიღების (გამოცემის) უფლებამოსილ ორგანოს (თანამდებობის პირს) მიენიჭება შემდეგი ციფრობრივი კოდი:

№	ნორმატიული აქტის მიმღები (გამომცემი) ორგანო (თანამდებობის პირი)	კოდი
1	საქართველოს პარლამენტი	001
2	საქართველოს პრეზიდენტი	002
3	საქართველოს მთავრობა	003
4	საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭო	004
5	ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების კომისია	006
6	აუდიტორული საქმიანობის საბჭო	007
7	საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია	008
8	საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია	009
9	საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია	010
10	საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი	011
11	საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური	012
12	სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალური აუდიტორი	070
13	სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარე	069
14	გარემოს ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე	073
15	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი	022
16	საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრი	023

17	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი	024
18	საქართველოს ენერგეტიკის მინისტრი	025
19	საქართველოს თავდაცვის მინისტრი	026
20	საქართველოს იუსტიციის მინისტრი	027
21	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრი	029
22	საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი	030
23	საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი	032
24	საქართველოს ფინანსთა მინისტრი	033
25	საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი	034
26	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი	035
27	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი	037
28	საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრი	038
29	სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსი	047
30	საქართველოს დაზვერვის სამსახურის უფროსი	048
31	აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს – აკრედიტაციის ცენტრის გენერალური დირექტორი	064
32	საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორი	050
33	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულების – საქართველოს სასაზღვრო პოლიციის უფროსი	051
34	საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი	054
35	საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი	055
36	საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარე	065
37	სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორი	066
38	საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორი	067
39	მონაცემთა გაცვლის სააგენტოს თავმჯდომარე	071
40	საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური	072
41	ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტო	017
42	სხვა ადმინისტრაციული ორგანო	036
43	კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარე	046
44	პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი	074

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2012 წლის 6 მარტის ბრძანება №33 - ვებგვერდი, 06.03.2012 წ.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2012 წლის 29 ივნისის ბრძანება №111 - ვებგვერდი, 29.06.2012 წ.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2012 წლის 30 ივლისის ბრძანება №133 - ვებგვერდი, 30.07.2012 წ.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2012 წლის 27 დეკემბრის ბრძანება №192 - ვებგვერდი, 27.12.2012 წ.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2013 წლის 7 მაისის ბრძანება №28 - ვებგვერდი, 07.05.2013 წ.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2014 წლის 16 იანვრის ბრძანება №1 - ვებგვერდი, 16.01.2014 წ.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2014 წლის 10 ივლისის ბრძანება №30 - ვებგვერდი, 10.07.2014წ.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2014 წლის 1 სექტემბრის ბრძანება №44 - ვებგვერდი, 02.09.2014 წ.

2. ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების მიღების (გამოცემის) უფლებამოსილ ორგანოს (თანამდებობის პირს) მიენიჭება შემდეგი ციფრობრივი კოდი:

1	ნორმატიული აქტის მიმღები (გამომცემი) ორგანო (თანამდებობის პირი)	კოდი
1	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო	056
2	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა	057
3	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრი	058
4	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია	059
5	აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო	060
6	აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა	061
7	აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრი	062
8	აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია	063

3. მუნიციპალიტეტებს მიენიჭებათ შემდეგი ციფრობრივი კოდები:

№	მუნიციპალიტეტი	კოდი
1	ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი	101
2	აჭარის მუნიციპალიტეტი	102
3	მესტიის მუნიციპალიტეტი	103
4	წალენჯიხის მუნიციპალიტეტი	104
5	ზუგდიდის მუნიციპალიტეტი	105
6	ხობის მუნიციპალიტეტი	106
7	ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი	107
8	სენაკის მუნიციპალიტეტი	108
9	მარტვილის მუნიციპალიტეტი	109
10	აბაშის მუნიციპალიტეტი	110
11	ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი	111
12	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი	112
13	ოზურგეთის მუნიციპალიტეტი	113
14	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი	114
15	ლენტეხის მუნიციპალიტეტი	115
16	ცაგერის მუნიციპალიტეტი	116
17	ამბროლაურის მუნიციპალიტეტი	117
18	ონის მუნიციპალიტეტი	118
19	ხონის მუნიციპალიტეტი	119
20	სამტრედიის მუნიციპალიტეტი	120
21	ვანის მუნიციპალიტეტი	121
22	წყალტუბოს მუნიციპალიტეტი	122
23	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტი	123
24	ბაღდათის მუნიციპალიტეტი	124
25	ტყიბულის მუნიციპალიტეტი	125
26	თერჯოლის მუნიციპალიტეტი	126
27	ზესტაფონის მუნიციპალიტეტი	127
28	ხარაგაულის მუნიციპალიტეტი	128
29	ჭიათურის მუნიციპალიტეტი	129
30	საჩხერის მუნიციპალიტეტი	130
31	ქობულეთის მუნიციპალიტეტი	131

32	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი	132
33	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი	133
34	ქედის მუნიციპალიტეტი	134
35	შუახევის მუნიციპალიტეტი	135
36	ხულოს მუნიციპალიტეტი	136
37	ადიგენის მუნიციპალიტეტი	137
38	ახალციხის მუნიციპალიტეტი	138
39	ბორჯომის მუნიციპალიტეტი	139
40	ასპინძის მუნიციპალიტეტი	140
41	ახალქალაქის მუნიციპალიტეტი	141
42	ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი	142
43	ხაშურის მუნიციპალიტეტი	143
44	ქარელის მუნიციპალიტეტი	144
45	თიღვის მუნიციპალიტეტი	145
46	ქურთის მუნიციპალიტეტი	146
47	ერედვის მუნიციპალიტეტი	147
48	გორის მუნიციპალიტეტი	148
49	კასპის მუნიციპალიტეტი	149
50	ახალგორის მუნიციპალიტეტი	150
51	ყაზბეგის მუნიციპალიტეტი	151
52	დუშეთის მუნიციპალიტეტი	152
53	მცხეთის მუნიციპალიტეტი	153
54	თიანეთის მუნიციპალიტეტი	154
55	წალკის მუნიციპალიტეტი	155
56	დმანისის მუნიციპალიტეტი	156
57	თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი	157
58	ბოლნისის მუნიციპალიტეტი	158
59	მარნეულის მუნიციპალიტეტი	159
60	ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტი	160
61	გარდაბნის მუნიციპალიტეტი	161
62	ახმეტის მუნიციპალიტეტი	162
63	თელავის მუნიციპალიტეტი	163
64	ყვარლის მუნიციპალიტეტი	164
65	საგარეჯოს მუნიციპალიტეტი	165
66	გურჯაანის მუნიციპალიტეტი	166
67	ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი	167
68	სიღნაღის მუნიციპალიტეტი	168
69	დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი	169
70	ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტი	170
71	ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტი	171
72	ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტი	172
73	ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტი	173
74	ქალაქ გორის მუნიციპალიტეტი	174
75	ქალაქ მცხეთის მუნიციპალიტეტი	175

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2014 წლის 10 ივლისის ბრძანება №30 - ვებგვერდი, 10.07.2014წ.

დანართი №4

მომხმარებლის რეგისტრაციის განაცხადის ფორმა

№	სახელი, გვარი	მომხმარებლის სახელი	ელ.ფოსტა	თანამდებობა	უფლებები
1					
2					

შენიშვნა: უფლებების ველში ციფრით ჩაიწეროს შემდეგი უფლებებიდან ერთი ან რამდენიმე:

ა) პროექტის შედგენა;

ბ) ვიზირება;

გ) იუსტიციის სამინისტროში ექსპერტიზაზე გადაგზავნა;

დ) მაცნეში გაგზავნა (საქმისწარმოების განმახორციელებელი თანამშრომლის უფლება);

ე) ხელმოწერის ფუნქცია (ხელმძღვანელი ან/და მოვალეობის შემსრულებელი).